

ფანარს ვთხოვთ ნათელი მოჭფინოს პრობლემას:

რა გადაწყვიტა რუმინეთის ეკლესიამ

უკრაინის ახალ ეკლესიასთან მიმართებაში

რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლს, პატრიარქ დანიელს აქვს კითხვები უკრაინაში ფანარის ქმედებებთან დაკავშირებით.

ფანარის მოლოდინის საპირისპიროდ, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია, კვიპროსის ეკლესიის კვალდაკვალ, საგონებელშია ჩავარდნილი უკრაინის "არაკანონიკური იერარქების" გამო.

ა.წ. 21 თებერვალს რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო დადგენილება უკრაინაში არსებული რელიგიური სიტუაციის შესახებ. მისი არსი შემდეგია: გადავწყვიტეთ, ჯერ არანაირი გადაწყვეტილებები არ მივიღოთ. თუმცა, დოკუმენტში არის მთელი რიგი ისეთი მომენტი, რომლებიც ძალიან არ მოეწონება არც ფანარს, და არც უკრაინის ახალი ეკლესიის „იერარქიას“.

და სადღაა აღიარება?

2019 წლის 11 იანვარს, ყოფილმა ფანარელმა ეგზარქოსმა, მთავარეპისკოპოსმა დანიელმა (ზელინსკი) განაცხადა, რომ უკრაინის

ახალი ეკლესიის პირველი აღიარება მოხდება მისი დაფუძნებიდან ერთი თვის თუ თვენახევრის შემდეგ. "დღევანდელი საბერძნეთის ეკლესიები და რუმინელები იქნებიან პირველები, ამის შემდეგ კი აღიარების პროცესი უკვე დაიძრება", - აღნიშნა მან.

ბერძნული ეკლესიები - ესაა ელადა და კვიპროსი. ამ უკანასკნელმა უკვე განიხილა უკრაინის საკითხი თავის სინოდზე და არ აღიარა უკრაინის ახალი ეკლესია. ნაცვლად ამისა, მან დაუსვა ფანარის ხელმძღვანელობას სავსებით გონივრული შეკითხვა: რა ვუყოთ ამ სქიზმატი „იერარქების“ ე.წ. ქიროტონიების არაკანონიკურობას? და უბრალოდ კი არ დასვა ეს კითხვა, არამედ ასევე თავისი მოსაზრებაც გამოთქვა, რომ ძველი თარიღით მათი აღიარება შეუძლებელია.

ახლა იმავე კითხვას სვამს რუმინეთის ეკლესია. და მხოლოდ ამ კითხვაზე პასუხის მიღების შემდეგ, ის განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას უკრაინის ახალ საეკლესიო სტრუქტურასთან მიმართებაში.

როგორც ჩანს, სწორედ ქიროტონიის საკითხი იქნება ის ლოდი, რომელსაც წამოკრავს ფეხს ფანარი თავის მცდელობაში, აიძულოს ადგილობრივი ეკლესიები აღიარონ უკრაინის ახალი ეკლესია. შეიძლება სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება იქონიო კონსტანტინოპოლისა და რუსეთის ეკლესიებისადმი, მაგრამ კანონი ხომ კანონია. და სწორედ ამ საეკლესიო კანონების თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც უკვე მესამე ათასწლეულია ეკლესია დედამიწაზე მოღვაწეობს, - ეპიფანე დუმენკო, ყველა თავისი ქვეშევრდომით, უკეთეს შემთხვევაში,

ერისკაცებია, რომელთაც არ აქვთ მღვდელმოქმედების უფლება.

ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ათონის მონასტრის - სიმონოპეტრას პოზიცია, რომელმაც ნება დართო უკრაინის ახალი ეკლესიის დელეგაციას შესულიყო სავანეში, მთხვეოდა წმიდა ნაწილებს, მაგრამ აუკრძალა ღვთისმსახურებაში მონაწილეობა. ამ ქმედებით, მონასტერმა განაცხადა, რომ უკრაინის ახალი ეკლესიის "ეპისკოპოსი" და "სამღვდელოება" ერისკაცები არიან.

უკვე თითქმის თვენახევარი გავიდა მთავარეპისკოპოსი დანიელის ინტერვიუდან, რომლის განმავლობაშიც "საბერძნეთის ეკლესიებსა და რუმინელებს" უნდა ეღიარებინათ უკრაინის ახალი ეკლესია, და ამით ბიძგი მიეცათ აღიარების პროცესისთვის, რათა ყველა სხვა ადგილობრივ ეკლესიებსაც ეცნოთ იგი. მაგრამ ეს არ მოხდა. ამ ეკლესიების გადაწყვეტილებები ცხადყოფს, თუ როგორ გადაწყდება, სავარაუდოდ, საბოლოო ჯამში "უკრაინის საკითხი".

მაგრამ ამაზე ოდნავ მოგვიანებით, ახლა კი გავარკვიოთ, რა განაცხადა რუმინეთის ეკლესიის სინოდმა. მისი განჩინება უკრაინაში არსებულ ვითარებაზე ოთხი პუნქტისგან შედგება.

პრობლემა "არ არის სრულად მოგვარებული"

"1. თითქმის 30 წლის განმავლობაში უკრაინის სქიზმის პრობლემა არ მოგვარებულა და არ ყოფილა არავითარი მოწოდება

პანმართლმადიდებლური შუამავლობისკენ, როგორც ეს წარსულში, ბულგარეთში არქსებულ სქიზმასთან დაკავშირებით მოხდა. იხილა რა უკრაინაში არსებული საეკლესიო პრობლემების ჩიხი, მსოფლიო საპატრიარქომ მიანიჭა ავტოკეფალიის ტომოსი უკრაინის ეპისკოპოსებს, სამღვდელოებასა და მორწმუნეებს, რომლებიც იყვნენ განხეთქილებაში რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და მთელ მართლმადიდებლობასთან, მაგრამ ეს ტომოსი მიიღეს მხოლოდ უკრაინელმა მართლმადიდებელმა ადამიანებმა, რომლებიც არ იყვნენ ევქარისტიულ კავშირში მოსკოვის საპატრიარქოსთან. ამრიგად, სადღეისოდ უკრაინის საეკლესიო ერთობის პრობლემა ბოლომდე არ არის გადაჭრილი, მათ შორის ასევე იმიტომაც, რომ უკრაინაში მრავლად ცხოვრობს რუსული მოსახლეობა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს მოსკოვის საპატრიარქოსთან. "

ამ პუნქტის პირველ სიტყვებში, თითქოს და ისმის საყვედური უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მისამართით, რომლებიც თითქოს არაფერს იქმოდნენ უკრაინაში სქიზმის მოსაგვარებლად. თუმცა, ეს ასე არ არის.

ჯერ ერთი, იქმოდნენ: მრავალგზის და სხვადასხვა დონეზე მოუწოდებდნენ სქიზმატებს მონანიებისკენ და ეკლესიის წიაღში დაბრუნებისკენ.

მეორეც, "პანმართლმადიდებლური შუამავლობისთვის" მოწოდება

არც სქიზმატების მხრიდან ყოფილა, - ისინი იმედოვნებდნენ და დღესაც იმის იმედი აქვთ, რომ სახელმწიფო რეპრესიული აპარატის დახმარებით ისინი შეძლებენ გაანადგურონ უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესია.

მესამეც, ნებისმიერი განხეთქილება და გამოყოფა ეკლესიიდან - ეს არის უძრები შვილის შესახებ იგავის პირდაპირი ანალოგია. განა უნდა ვუსაყვედუროთ მამას, რომ მან არავის მიმართა რაიმე შუამდგომლობისთვის თავისი უძრები შვილის დასაბრუნებლად? იქნებ უმჯობესია, მაგალითი ავიღოთ მისი სულგრძელი მოლოდინიდან, - თუ როგორი მოთმინებით მოელის, როდის დაბრუნდა მისი შვილი?

გარდა ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ეკლესიას არ მიუმართავს "პანმართლმადიდებლური შუამავლობისთვის". ჯერ კიდევ 1992 წლის 11 ივნისს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელმთავრო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ასეთი სიტყვები იყო: *"რაც შეეხება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სრული კანონიკურ დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხს, ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს კანონიკური გზით ადგილობრივი კრების მოწვევით და მის დადგენილებათა შეთანხმებით ყველა მოძმე ადგილობრივი ეკლესიის ნებასთან".*

"უკრაინის საეკლესიო ერთობის პრობლემა ამჟამად სრულად არ არის მოგვარებული, მათ შორის ასევე იმიტომაც, რომ უკრაინაში

მრავლად ცხოვრობს რუსული მოსახლეობა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს მოსკოვის საპატრიარქოსთან."

რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის

წმინდა სინოდის განჩინებიდან

მოსკოვის პატრიარქებმა არაერთგზის განაცხადეს "უკრაინის საკითხის" მოგვარების სურვილი კრებითად, მთელი მართლმადიდებლური ერთობით. უკანასკნელად ეს მოხდა 2018 წლის აგვისტოში, ფანარის მიერ უკანონო ქმედებების დაწყებამდე.

რუმინეთის სინოდის განჩინების შემდგომ ტექსტში განცხადებულია აშკარა საყვედური ფანარისადმი. მსოფლიო პატრიარქმა დაინახა "ჩიხი სიტუაციის მოგვარებაში". და რა მოიმოქმედა მან? მოუწოდა "პანმართლმადიდებლური შუამავლობისთვის"? არა - მან აიღო და მიანიჭა ავტოკეფალიის ტომოსი სქიზმატებს. ამასთან, რუმინელი იერარქები სწორედ ასეთ იდენტიფიკაციას უკეთებენ ტომოსის ადრესატებს: *"სასულიერო პირები და მორწმუნეები, რომლებიც განხეთქილებაში იმყოფებოდნენ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და მთელ მართლმადიდებლობასთან"*. და განა ამით პრობლემა გადაიჭრა? "არა", - ამბობენ რუმინელები: *"ამრიგად, უკრაინის ეკლესიის ერთობის პრობლემა ბოლომდე მოგვარებული არ არის "*.

მოდით, სათანადო პატივი მივაგოთ რუმინეთის სინოდის წევრთა დიპლომატიას. მათმა კვიპროსელმა ძმებმა უფრო ნათლად თქვეს: "პრობლემა არ გადაჭრილა". რაც, თუმცა, ასევე, საკმაოდ

დიპლომატიური განსაზღვრებაა, ვინაიდან პრობლემა არამც თუ არ არის გადაჭრილი, არამედ ბევრად უფრო გაღრმავდა და მისი გადაჭრა ძალიან გართულდა.

ყველაფერი - ერთობის შენარჩუნებისთვის

"2. რაც შეეხება არსებულ დამაბულ საეკლესიო ვითარებას უკრაინაში, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პოზიცია, რომელიც გამოხატა მან თავის წინა სამუშაო სხდომებზე 2018 წლის 24 მაისსა და 25 ოქტომბერს. შემდეგ რეკომენდაცია მივეცით, რომ მსოფლიო საპატრიარქომ და მოსკოვის საპატრიარქომ დიალოგის გზით განსაზღვრონ ეს საეკლესიო დავა, რწმენის ერთობის შენარჩუნებით, ამ ქვეყნის სამღვდელთა და მორწმუნეების ადმინისტრაციული და სამოძღვრო თავისუფლების პატივისცემით (ავტოკეფალიის უფლების ჩათვლით) და ექვარისტული კავშირის აღდგენით. წარუმატებელი ორმხრივი დიალოგის შემთხვევაში საჭიროა შეიქმნას ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურისგან შექმდგარი სინაქსისი არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. "

24 მაისსა და 25 ოქტომბერს რუმინეთის ეკლესიის სინოდმა იგივე განაცხადა: მართლმადიდებლობის ერთობის შენარჩუნება უნდა მოხდეს მოსკოვსა და კონსტანტინოპოლს შორის დიალოგის გზით. ამასთან,

დაცული უნდა იყოს „ამ ქვეყნის სამღვდელოებისა და მორწმუნეების ადმინისტრაციული და სამომღვრო თავისუფლების პატივისცემა (ავტოკეფალიის უფლების ჩათვლით).“

იმის შესახებ, თუ როგორ მიაგებენ პატივს უკრაინაში სამღვდელოებისა და მორწმუნეების თავისუფლებას, აშკარად ცხადყოფს ძალადობა და რეპრესიები უკრაინის კანონიკურ ეკლესიასთან მიმართებაში, ჩხრეკი, დაკავებები, პროფილაქტიკური საუბრები უკრაინის უსაფრთხოების სამსახურთან, მრავალრიცხოვანი შეჭრები ტაძრებში. ამასთან, პატრიარქმა ბართლომემ მშვენივრად იცოდა, რომ სწორედ ასე მოხდებოდა (ყოველ შემთხვევაში, მას ამის შესახებ არაერთხელ უთხრეს უკრაინის კანონიკური ეკლესიის იერარქებმა, ჯერ კიდევ მისი უკანონო ქმედებების დაწყებამდე). და მან შეგნებულად დაუშვა ის, რაც ახლა ხდება ჩვენს ქვეყანაში.

რუმინეთის ეკლესიის სინოდი მოუწოდებს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და ფანარს, მიუსხდნენ მოლაპარაკებების მაგიდას. მაგრამ, რადგან ესმით, რომ ამის შესაძლებლობა პრაქტიკულად ნულის ტოლია, - აცხადებენ: „საჭიროა შეიქმნას ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურისგან შექმდგარი სინაქსისი არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.“ ეს კი ზუსტად ის არის, რისკენაც მოუწოდებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და ასევე პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, სერბეთის, ანტიოქიის, ბულგარეთისა და კვიპროსის ეკლესიები.

"წარუმატებელი ორმხრივი დიალოგის შემთხვევაში საჭიროა შეიქმნას ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურისგან შექმდგარი სინაქსისი არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. "

*რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის
წმინდა სინოდის განჩინებიდან*

დანარჩენი ეკლესიები ამ პოზიციას ჯერჯერობით თავიანთი იერარქების განცხადების დონეზე გამოხატავენ, მაგრამ ვფიქრობთ, მალე ისინიც გააკეთებენ ამ მოწოდებას თავიანთ ოფიციალურ გადაწყვეტილებებში. და აი, ეს სწორედ ის არის, რასაც მთელი ძალით ეწინააღმდეგება ფანარი. ამგვარი პანმართლმადიდებლური კრების მოწვევა, ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა წინამძღოლების ან უფრო ფართო დელეგაციების შემადგენლობით, კონსტანტინოპოლისთვის იქნება იმედგაცრუება, მისი ამბიციების განმტიკიცებისთვის ბრძოლაში მთელ მართლმადიდებლურ სამყაროზე დომინირების პრეტენზიებით.

დღეს უკვე შესაძლებელია მტკიცებით საუბარი იმაზე, რომ "უკრაინის საკითხის" პანმართლმადიდებლური გადაწყვეტის დაბრკოლებას სწორედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პოზიცია წარმოადგენს, რომელსაც არ სურს გადაწყვეტილებების მიღება კრებითად და უფრო მეტიც, - არც სხვა ადგილობრივ ეკლესიებთან კონსულტაციების სურვილი გააჩნია. მას სურს ყველაფერი გადაწყვიტოს ერთპიროვნულად, დანარჩენებს კი უბრალოდ აცნობოს თავისი

გადაწყვეტილებების შესახებ. სწორედ ასე მოქმედებდა ფანარი 2018 წლის შემოდგომაზე, როდესაც მისი იერარქები ეწვივნენ ადგილობრივ ეკლესიებს და შეატყობინეს მათ მსოფლიო საპატრიარქოს გადაწყვეტილება, უკრაინელი სქიზმატებისთვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ.

ეროვნული უმცირესობები შფოთავენ

"3. რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კონკრეტული და სწორი გადაწყვეტილებისთვის, მომავალ სამუშაო სესიაზე, წმინდა სინოდი პრიორიტეტული წესით განიხილავს უკრაინაში არსებული რუმინული სამრევლოების საკითხს. ცნობილია, რომ უკრაინაში არსებობს 127 რუმინული მართლმადიდებლური სამრევლო, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ბუკოვინაში, რომლებიც იმყოფებიან მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში. საჭიროა რეალური კონსულტაციები ამ რუმინელ მართლმადიდებელ ერთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თავიანთი ეთნიკური და ენობრივი იდენტობის შენარჩუნებაში. ამ თვალსაზრისით, საჭიროა უკრაინის ეკლესიისა და სახელმწიფო ორგანოების წერილობითი გარანტიები, რომ რუმინელების ეთნიკური და ენობრივი იდენტობისთვის პატივი იქნება მიგებული, რომ რუმინეთის მართლმადიდებლებს საშუალება ექნებათ გაერთიანდნენ

რუმინეთის მართლმადიდებლური საქორეპისკოპოსოს ფარგლებში და შეძლონ რუმინეთის საპატრიარქოსთან სულიერი ურთიერთობების განვითარება, - საშუალება ჰქონდეთ მშობლიურ რუმინულ ენაზე მიიღონ ლიტურგიკული და საღვთისმეტყველო წიგნები თავისი დედაეკლესიიდან. ამასთან, ასევე აღინიშნა, რომ უკრაინული მართლმადიდებლური საქორეპისკოპოსო რუმინეთში 1990 წლიდან ფუნქციონირებს".

ამ პუნქტში რუმინეთის ეკლესიის სინოდი განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს უკრაინაში არსებულ 127 რუმინეთის სამრევლოს ბედთან დაკავშირებით. რუმინელები, ისევე, როგორც ყველა სხვა ეროვნული უმცირესობა უკრაინაში, კარგად იცნობენ ტოტალური უკრაინიზაციის პოლიტიკას, რომელსაც ამ ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებს. შეშფოთება იმაზე, რომ ეროვნულ უმცირესობათა ენები აქტიურად გამოიღვენენ განათლების, კულტურული სივრცისა და სახელმწიფო მოხელეებთან კომუნიკაციის სფეროებიდან, - უკვე გამოხატეს უნგრეთის, რუმინეთის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების მთავრობებმა.

ახლა, უკრაინის ახალი ეკლესიის შექმნასთან დაკავშირებით და სახელმწიფო მოხელეების მხრიდან აქტიურ ძალდატანებასთან დაკავშირებით, რომ აიძულონ სამრევლოები, გადავიდნენ ამ ახალ საეკლესიო სტრუქტურაში, - რუმინეთის ეკლესია კიდევ უფრო ცხადად აცნობიერებს საფრთხეს იმისა, რომ რუმინული სამრევლოები

დაკარგავენ თავიანთ ეროვნულ თვითმყოფადობას. და ამიტომ რუმინეთის ეკლესია ცდილობს, როგორმე შეთანხმდეს უკრაინელებთან იმაზე, რომ რუმინულმა სამრევლოებმა შეინარჩუნონ ღვთისმსახურებისა და ქადაგებებისთვის მშობლიური ენა და თავიანთი საეკლესიო ტრადიციები.

რა გავაწყობთ "არაკანონიკურ იერარქებთან" მიმართებაში?

"4. გარდა ამისა, რუმინეთის საპატრიარქო სთხოვს მსოფლიო საპატრიარქოს ნათელი მოჭვინოს არაკანონიკური იერარქებისა და სამღვდელოების პრობლემას, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ყოფილ "კიევის საპატრიარქოს". ზემოაღნიშნული კონსულტაციების დასრულების შემდეგ, წმინდა სინოდი გამოაცხადებს თავის ოფიციალურ პოზიციას უკრაინაში მართლმადიდებლობის მდგომარეობასთან დაკავშირებით."

ყველაზე უსიამოვნო ფანარისთვის რუმინელებმა ბოლოსთვის შემოინახეს. კონსტანტინოპოლის იერარქებს ახლა იმის ახსნა-განმარტება მოუწევთ, თუ როგორ, რა სასწაულით, გარდაიქცნენ უკრაინის ახალი ეკლესიის „იერარქები“, რომელთაც არ ჰქონიათ კანონიკური ხელდასხმა, - მოულოდნელად ნამდვილ სასულიერო პირებად.

სავარაუდოდ, კონსტანტინოპოლი უბრალოდ არ ჩათვლის საჭიროდ, ვინმეს განუმარტოს თავისი ქმედებები. თავისი უკანასკნელი განცხადებების სტილში, ის იტყვის, რომ "დედაეკლესია" ყველაფერს ბრძნულად განსჯის და სწორად მოქმედებს, რამეთუ მას გააჩნია განსაკუთრებული ზეგარდამო მადლმოსილება და მისი ქმედებები მხოლოდ უნდა მივიღოთ და დავმორჩილდეთ, და ეჭვი არ შევიტანოთ მათ სისწორეში.

ახლა ფანარს მოუწევს იმის ახსნა-განმარტება, თუ როგორ, გარდაიქცნენ უკრაინის ახალი ეკლესიის არაკანონიკური „იერარქები“ მოულოდნელად ნამდვილ სასულიერო პირებად.

შესაძლოა, ფანარიოტები, რომელთაგან ბევრი კათოლიკურ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა, მოიფიქრებენ კიდევ რაღაც განმარტებებს საუკეთესო იეზუიტურ ტრადიციებში, - მაგრამ ამ შემთხვევაში მათ მოუწევთ იმის ახსნაც, თუ რატომ აღიარებენ ისინი უკრაინელ სქიზმატებს თითქმის 30 წლის განმავლობაში მადლისგან განმარცვულებად, ხოლო მათ „ქიროტონიებს“ - არაკანონიკურად. ამის შესახებ ხომ არსებობს ოფიციალური დოკუმენტები, პატრიარქ ბართლომეოსისა და კონსტანტინოპოლის სინოდის წევრების ხელმოწერით.

უკვე ახლავე სქიზმატების აღიარებითა და მათთან თანამსახურებით, ფანარიოტებმა ფაქტობრივად ხელი მოაწერეს იმის

აღიარებას, რომ ისინი ადრე „ცდებოდნენ“, როდესაც არ აღიარებდნენ მათ „ქიროტონიებს“. და ვინ აუხილა მათ თვალები? ვინ აიძულა შეეცვალათ თავისი აზრი? პეტრე პოროშენკომ - უკრაინის მოქმედმა პრეზიდენტმა და მომავალმა საპრეზიდენტო კანდიდატმა? ფანარიოტებო, არ გრცხვენიათ?

ახალი მწვალებლობის საფრთხე

ამგვარად, რისკენ ან ვისკენაა რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია?

სინოდის განჩინების თანახმად:

- მართლმადიდებელ სამყაროში უნდა იყოს ერთობა;
- ამ სამყაროში არ უნდა იყვნენ "იერარქები" ყალბი ქიროტონით;
- "უკრაინის საკითხი" უნდა გადაწყდეს;
- რუმინეთის სამრევლოები არ უნდა გადავიდნენ "ნაციონალურად შეგნებულ" უკრაინის ახალ ეკლესიაში.

როგორ მიესადაგება ეს მიზნები ფანარის ქმედებებს, ასევე უკრაინის ნაციონალისტებისა და საერო ხელისუფლების ქმედებებს? ეს შეკითხვა მიემართება პატრიარქ ბართლომესს, პეტრო პოროშენკოსა და რადიკალურ დაჯგუფებებს, რომლებიც მხარს უჭერენ ქრისტეს

ეკლესიაზე თავდასხმას.

და მაინც, მართლაც რა გზით უნდა გადაწყდეს ყველა ეს საკითხი? ამის პასუხი სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება - ესაა პანმართლმადიდებლური კრების ან თათბირის ჩატარება. სულ უფრო მეტი ადგილობრივი ეკლესია მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამის გარეშე უკვე ვერ მიიღწევა კონსენსუსი. და ის, რომ ამ კრებაზე უნდა გადაწყდეს არა იმდენად "უკრაინის საკითხი", რამდენადაც "ფანარის" საკითხი: დაუშვებს თუ არა ეკლესია იმას, რომ კონსტანტინოპოლი ჩაუდგეს მას სათავეში, ქრისტეს ნაცვლად?

2016 წლის კრეტის კრების კრიტიკოსები საუბრობენ არა მარტო იმის შესახებ, რომ იგი პანმართლმადიდებლური ფაქტობრივად ვერ იყო, - არამედ ასევე იმის შესახებ, რომ ყველა მსოფლიო საეკლესიო კრება წარსულში შეიკრიბა, ეკლესიაში მწვალებლობის შემოჭრის საფრთხის გამო. ფანარის მმართველობის მწვალებლობა ყველა სხვა ეკლესიაზე სულ უფრო მკვეთრად იკვეთება და ეს ემუქრება ეკლესიის მთელ სხეულს, და არა მხოლოდ უკრაინის ახალ ეკლესიას.

https://spzh.news/ru/zashhita-very/60387-prosim-fanar-projasnity-problemu-chto-rumynskaja-cerkovy-reshila-pocpu?fbclid=IwAR1ceyFF793WJdy-i7eNJfpFV3Nd0t2kMwnPbL2xmQYhWnhjT1u9pY-tH_4